ქ. თბილისი 14 დეკემბერი 2016წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №123

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ: სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი), მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. წარმოდგენილი დირექტორის ნათია ზაალიშვილის სახით,

მეორე მხრივ: ლევან ნოზაძე (შემდგომში - მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალი, მე-9 კორპუსი, ბინა 28, პ/ნ 01027059784,

ადასტურებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის გზით (მონეტარული ზღვრის დაცვით), სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე იღებს ვალდებულებას გაუწიოს ბლოკნოტის, სავიზიტო ბარათის, ბანერის, ჩანთისა და power point-ის პრეზენტაციის გვერდის დიზაინის შემუშავების მომსახურება – კლასიფიკატორის **(CPV)** კოდით - 48321000 კომპიუტერული დიზაინის პროგრამული პაკეტები, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.2 მომსახურების გაწევა უნდა დასრულდეს 2016 წლის 28 დეკემბერს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
4.1.1 გაუწიოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის მომსახურება.
4.1.2 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.
4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება.
4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.3 ამ მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული განყოფილების შესყიდვების სპეციალისტი ზვიადი ჭელიძე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილება.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 5 დღით ადრე.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 14 დეკემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

16.2 ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობისას არ გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ

საიდენტიფიკაციო კოდი 205296188

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგ №GE24NB0330100200165022

ნათია ზაალიშვილი

დირექტორი

<u>მიმწოდებელი:</u>

ლევან ნოზაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალი, მე-9 კორპუსი, ბინა 28

პ/ნ: 01027059784

ტელ: 591 14 45 13

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის № GE61TB7274945061100008

ლევან ნოზაძე